

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტი

სტუდენტთა მათემატიკური ოლიმპიადის ჩატარების წესი

1. სტუდენტთა მათემატიკური ოლიმპიადა ტარდება ყოველ სემესტრში ორ ეტაპად, სემესტრის მეექვსე და მეთორმეტე კვირაში.
2. ოლიმპიადაში მონაწილეობა შეუძლია უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამების აქტიური სტაგუსის მქონე სტუდენტს.
3. ოლიმპიადაში მონაწილეობისათვის სტუდენტმა უნდა გაიაროს რეგისტრაცია ოლიმპიადის ვებგვერდზე მითითებულ ვადაში. რეგისტრაციის დასრულების შემდგომ, დაგროვებული კრედიტების რაოდენობის მიხედვით, სტუდენტები დაიყოფიან ოთხ ჯგუფად (დონედ):
 - I ჯგუფი - 30-59 კრედიტი;
 - II ჯგუფი - 60-119 კრედიტი;
 - III ჯგუფი - 120-179 კრედიტი;
 - IV ჯგუფი - 180-ზე მეტი კრედიტი.
4. ოლიმპიადის თითოეულ ეტაპზე ერთსა და იმავე ჯგუფში მყოფ სტუდენტებს შესასრულებლად მიეცემათ ერთნაირი დავალება, რომლის ნიმუშები გამოქვეყნდება ოლიმპიადის ვებგვერდზე სემესტრის მეოთხე და მეთხუთსე კვირაში.
5. თითოეული დავალება შედგება 5 ამოცანისაგან, ხოლო შესრულებული სამუშაოს მიხედვით თითოეული ამოცანა შეფასდება 0, 0.5 ან 1 ქულით.
6. ოლიმპიადის თითოეული ეტაპის შედეგები გამოქვეყნდება მისი ჩატარებიდან მომდევნო სამი სამუშაო დღის განმავლობაში. სტუდენტს უფლება ეძლევა შედეგების გამოქვეყნებიდან არაუმეტეს 2 დღის ვადაში განცხადებით მიმართოს ფაკულტეტის

ადმინისტრაციას შედეგის აპელაციისათვის.

7. ოლიმპიადაში სტუდენტის მიერ მიღებული საბოლოო ქულა გამოითვლება თითოეული ეტაპის შედეგების ჯამის მთელ რიცხვამდე დამრგვალებით.
8. საბაკალავრო პროგრამის „მათემატიკა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)“ სტუდენტის მიერ მიღებული საბოლოო ქულა გათვალისწინებული იქნება ბიზნესის, ტექნოლოგიებისა და განათლების ფაკულტეტისათვის გამოყოფილი კვრის ფარგლებში სტიპენდიატა შერჩევაში.
9. ამასთან სტუდენტს გადაეცემა I, II ან III ხარისხის დიპლომი, თუ ოლიმპიადაში მისი საბოლოო შეფასება შესაბამისად 10, 9 ან 8 ქულაა.